

# ლიცენზიის სამუხია



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება  
№8, 27 აპრილი, ორშაბათი, 2018 წელი

ამოხიეთ ყალბიდან  
8 აქტივით!

ამოხიეთ ყალბიდან 8 აქტივით!  
სამუხიდან ამოღეთ ეს დოკუმენტი!  
სახელის წინააღმდეგ სამუდამოდ გადაიღოს,  
ამოხიეთ მხარეებზე შესვლას!

ახლა უნდა აღადგინოთ, დაინახოს  
მომხილველი ლაბა და მუხია!  
საქმიანობის დადასტურება გაერთიანებით  
ჩვენ დაინახოს ჩუქურთმის ცარიელი!

წერილობით წერილებს დაინახოს  
შესვლას მისამართი ვერა!  
ამოხიეთ ყალბიდან 8 აქტივით -  
მოხილველი ჩუქურთმის ცარიელი..

მედიკოსი

12 აპრილი - გერმანიის საბჭო  
2018 წ.

# შეხვედრა მწერლობას

8 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების სამკითხველო დარბაზმა მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ქ-ნ მზია ხეთაგურს უმასპინძლა. „ამოხიეთ კალენდრიდან 8 აგვისტო“ – პოეტის ლექსის ეს სტრიქონები ლაიტმოტივად გასდევდა საღამოს, რომელიც საქართველოს ოკუპაციის 10 წლის თავს მიეძღვნა. პოეტის შემოქმედების თავყვანისმცემლების გარდა, საღამოს ესწრებოდნენ სამაჩაბლოდან გამოყოლილი ტკივილით გულსავესე ჩვენი თანამემამულეები: პოეტი და კომპოზიტორი შოთა დარბაზაშვილი, პოეტი ქალბატონები: ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი და ლეილა ჯახველაძე.

მზია ხეთაგურის მრავალმხრივი, საინტერესო შემოქმედება მძაფრი კრიტიკული წერილებითაც არის გამორჩეული, რომელიც ქართულ ლიტერატურასა და მწერლობაში ზოგადად მიმდინარე პროცესებთან ერთად, ქართულ-ოსურ ურთიერთობებში ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტის ზედმინვენით ზუსტად შეფასებასა და ანალიზს მოიცავს. „სიმართლის მთქმელს“ კი, ჩვენში „ცხენი რომ შეკაზმული უნდა ჰყავდეს“, – არახალია. თუმცა, ნახევრად ოსური წარმოშობის ქართულენოვან მწერალს არასდროს უსარგებლია იმ საცდური კეთილდღეობით, რასაც მას „ზემოდან“ სთავაზობდნენ მხოლოდ ერთი ფრაზის სანაცვლოდ: „ცხინვალი ოსეთია!“ და რისი უარყოფის გამოც, მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა.

ამ და, სხვა, სხვა არაერთი ღვანლისთვის მწერალი ქალბატონი საქართველოს სულიერმა მამამ, კათალიკოს-პატრიარქმა – ილია მეორემ წმინდა გიორგის ოქროს მედლით დააჯილდოვა.

მზია ხეთაგური დღემდე ამ სიმართლის სადარაჯოზე დგას და მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით უხდის ხარკს, რომლის ჭეშმარიტებასაც ეს წერილი-მონოლოგი ღალადებს.



მაგალითად: ყირიმი რუსეთია, სოჩა (ანუ სოჭი) რუსეთია, აფხაზეთი, თურმე, – დამოუკიდებელი აფხაზეთი ანუ რუსეთია, შიდა ქართლი (სამაჩაბლო, ცხინვალი, ახალგორი, და ა. შ.) ოსეთი ანუ რუსეთია, ახალციხის ნაწილი სომხეთია, გარეჯი აზერბაიჯანია და... ესეც არ ყოფილა საკმარისი – თურმე, ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთიდან დანყებული როკის გვირაბის გავლით მცხეთამდე, ოსეთ-რუსეთია! ეს კომიკური სურვილი საქართველოს ტრაგედიადა ექცა.

**საქართველო კავკასიის ხერხემალია. სწორედ ამ ხერხემლის გადატეხვას ცდილობს რუსეთის იმპერია, რომლის მიზანი მთელი კავკასიის დაპყრობაა! მცირე ერების ქართველებთან დაპირისპირება კი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად! ეს იმდენად ტევადი თემაა, რომ არც დრო, არც საწერი ფურცლები არ იქნება საკმარისი! ფაქტი ერთია:**

ჩვენი ხელისუფლების მიერ საქართველოს მომავლის, მისი მოსახლეობის ისეთივე შეყვარებაა საჭირო, როგორც, ვთქვათ, ილია ჭავჭავაძეს უყვარდა თავისი ერი. სიყვარულთან ერთად, სძულდა კიდევ მცონარები, უნიგნურობითა მბიციურები და საკუთარ „კეთილდღეობაზე“ გადასული ცხოველთა მსგავსი ქართველები. და ვიცით, ხომ ვიცით, რომ „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!“

თუ ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას საკუთარი სტომაქი და ადამიანთა სილატაკის ხარჯზე ბანკში ჩადებული სიმდიდრე უფრო ეძვირფასება, მაშინ სათქმელიც არაფერია – „ძალი ყვეს, ქარავანი მიდის.“ მაგრამ, ანდაზის მიხედვით, ქარავანში მიზნისკენ ჯიუტად მიმავალი ხალხი იგულისხმება, ხოლო ძალში – ხელისშემშლელი, არაფრის მაქნისი კაცუნა. ასე, რომ ანდაზის ჭეშმარიტი მნიშვნელობა თავის ფუნქციას უნდა დაუბრუნდეს და ხმის ჩახლენამდე რომ ყვეფდნენ იმპერიული ძალის აგრესორები, ჩვენი ქარავანი ანუ ჩვენი ხელისუფლება, ხალხთან ერთად, მაინც ჯიუტად უნდა მიინევედეს წინ – საქართველოს გაერთიანებისაკენ, დაპყრობილი მიწების დასაბრუნებლად! მაგრამ ეს რომ მოხდეს, მთელი ხელისუფლება რამდენიმე თავგანწირულ თავკაცს საჭიროებს. (რამდენიმეზე მეტიც გვჭირდება, მაგრამ ეს რამდენიმეც თუ მართლა თავდადებული და გონიერი აღმოჩნდება, მიზნისკენ სვლა საგრძნობლად გაადვილდება!)

ალბათ ბევრმა იცის, რომ შეხვედრები, საღამოები, წიგნები, პრემიები, სიგელები თუ მედალ-ორდენი არ მაკლია. მაგრამ ხაშურში ჩატარებული საღამო, რომელიც 8 აგვისტოს შედგა, ჩემს პერსონალურ საღამოდ არ მიმაჩნია. ეს იყო საღამო-აქცია, გულისტკივილის გამოხატვა, საკუთარ მიწაზე დაჩაგრულთა გამოსარჩლებისა და იმედის ნაპერწკლის გაღვივების მცდელობა.

დღეს ხაშურის დეპუტატი ბატონი სიმონ ნოზაძე გახლავთ. გადმომცეს მისი კეთილი სურვილები. კეთილი სურვილები კარგია, მაგრამ მე უფრო იმან გამახარა, რომ მასზე არაერთი თბილი სიტყვა მოვისმინე, რომელიც იმედს აღმიძრავს, რომ იქნებ, იგი სწორედ იმ „რამდენიმე თავგანწირულ თავკაცთა“ შორის მოიაზრება? ეს იმედი თუნდაც იმიტომ გამიჩნდა, რომ თავად ცნება „იმედის“ დიდი სურვილი მაქვს და ეს თავკაცი ჩემი იმედის გაცრუებისთვის არ მემეტება... მითუმეტეს, რომ ლიტერატურის ცოდნა, კულტურის შეფასება-დაფასება და ინტელექტი ძალიან სჭირდება ხელმძღვანელ პირს და ამ მხრივ, ბატონი სიმონ ნოზაძე, მართლაც, გამორჩეულია.

მე მკითხეს – ვარ თუ არა კონფლიქტის მსხვერპლი? ვიმეორებ:



**8 აგვისტო – კალენდრიდან ამოხეული და უკან ჩასაბრუნებელი ფურცელი!**

ამ განცხადებას ვაკეთებდი, ვაკეთებ და მომავალშიც განვაცხადებ, რომ:

**არ არსებობს ქართულ-ოსური კონფლიქტი!**  
**არსებობს რუსეთის იმპერიული ზრახვებით შეპყრობილთა მრავალსაუკუნოვანი ბანდა! და რუსი ხალხი ამ ბანდის წევრი კი არა, მსხვერპლია, რადგან რუსული იმპერიის „წყალობით“ რუსი, როგორც ერი, შეიძულა თითქმის მთელმა მსოფლიომ!**

თავად რუსი ხალხი თავისი ბუნებით უშუალო, მშრომელი, კეთილი და ბუნებრივია, – არაფერს თამაშობს, მისგან შორს არის აღმოსავლურ-დასავლური ხაფანგების დადების უნარი და სურვილი. თავად რუსეთის იმპერიული სულისკვეთებისაგან არის დასაცავი უბრალო რუსი ხალხი. მისი მსოფლიო მასშტაბის დონის კულტურა-ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა თვისებებმა განსაზღვრეს. რუსეთი (ანუ რუსული იმპერია) აგრესორია და აქ საკამათოც არაფერია. წლების მანძილზე ეს ბანდა ადგენდა ფალსიფიცირებულ რუკებს, ისტორიის სახელმძღვანელოებს და ამ მზაკვრული „ფაქტებით“ კვებავდა სხვადასხვა ეროვნების სულიერებას ჯერ კიდევ მათი ბავშვობის წლებში. ეს იყო ტვინში, ფსიქოლოგიაში თანდათან ჩანყობილი ნაღმები, რომლებიც საჭიროების ყამს, ფეთქდებოდნენ და თავის „სიტყვას“ ამბობდნენ!



ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი არ ყოფილა, – ეს იყო რუსეთის იმპერიის სურვილი! კონფლიქტის გარეშე კი მსხვერპლიც ვერ ვიქნები! მაგრამ პროვოკატორებსა და ჩვენს ხელისუფლებაში ჯერაც არსებულ გულგრილ, საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ზოგიერთი „მოღვაწის“ წყალობით, რუსეთის იმპერიის მსხვერპლთა რიცხვი გაიზარდა თავად საქართველოს ხელისუფლების მხოლოდ სავარძლების ტკობითა და მშრომელი ხალხის გაჭირვების მიმართ უგულისყურობით!

დათბება თუ არა ურთიერთობები? – მეკითხებიან ხოლმე. მე მარჩიელი არ ვარ, რომ მკითხველი გავაოცო ჩემი წინასწარმეტყველებით!

**ვიმეორებ: მხოლოდ თავგანწირვა თუ გაათბობს გულებს, მხოლოდ თავგანწირვა გზაშივე გაყინავს ჩრდილოეთიდან ჩრდილოური ზამთრის სუსხისთვის დამახასიათებელ ყველაზე მკაცრ, სარკაზმულ, დროებით გამარჯვების დროშის ფრიალით მოხეიმე დამპყრობთა ბანდას!**

**„ამოხიეთ კალენდრიდან 8 აგვისტო!“ – ჩემი ლექსის ეს სტრიქონი მაშინ დაკარგავს აქტუალობას, როდესაც ხელისუფლება ხალხის ხმას მიენდობა, ხოლო ხალხი კი – ხელისუფლების სინდისს!**

ეს როცა მოხდება, კალენდარში 8 აგვისტო ზაფხულის ერთ ჩვეულებრივ დღედ დარჩება და რამდენი ბავშვიც დაიბადება ამ დღეს, იმდენი ფურცელიც დროშასავით იფრიალებს!

**მზია ხეთაგური** – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი

#### საზღვარი (ანდერძი)

ჩემი ბავშვობის სასუფეველო!  
გულნატყვიარო ჩემო ცხინვალო!  
ჩემო ოსებო და ქართველებო!  
ზღუდრის საყდარში სანთლის ციალო!  
ერთმანეთს ქვები რომ დაფუშინეთ, –  
მტერი ზეიმობს სახემცინარი!  
თამარს მისტირის თამარნაშენი,  
მავთულხლართებში ტყვეობს ცხინვალი!  
დამასაფლავეთ ზედ იმ „საზღვარზე“,  
ამ სიყვარულის უსაზღვროებით!  
გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე  
აქ – ქართველების, იქით – ოსების!  
დამასაფლავეთ ფარდაახდილი,  
ზურგში მახვილით, ცით გაფრენილით!  
დამასაფლავეთ, როგორც სამხილი,  
როგორც მანდილი – ძირს დაფენილი!  
დამასაფლავეთ ნიშნად სირცხვილის,  
ნიშნად ლაჩრობის, ნიშნად მტრობისა!  
დამასაფლავეთ, როგორც სიკვდილი,  
თავლაფდასხმული ჩვენი ძმობისა!  
დამასაფლავეთ, როგორც სინდისი, –  
სიმართლეს თავი რომ ვერ არიდა,  
დამასაფლავეთ, როგორც „სიმდი“ და,  
როგორც „ჩაკრულო“, ან „ვარაიდა!“  
უსამართლობის გულშემზარავი –  
დაასაფლავეთ თავად საზღვარი –  
ჩვენი წარსულის უღვთოდ მპარავი,  
სისხლით და ცრემლით გაუმადლარი!  
გულში დაჭრილი, ჩექმით მლაფავი,  
ვერ გადავდივარ ძმებთან ალავერდს!  
დაასაფლავეთ ჩემი საფლავიც და,  
ეს ლექსებიც დაასაფლავეთ!



## აგვისტოს სედა

### გმირო

გმირო, დედაის სიცოცხლევ,  
ომში წასულო, ერთავ,  
არ მოკვდი, – გარდაიცვალე  
და ახლოსა ხარ ღმერთთან!  
გამომეცხადე, მითხარი:  
ბევრს ნუ სტირიო, ოღონდ,  
შენ რომ ვერ მხედავ,  
არ ნიშნავს,  
მინად ვიქეცი მხოლოდ!  
მე ვალი მქონდა ქვეყნისა,  
გადავიხადე მშვიდად, –  
უკანა კაცის ნიმუშად,  
წყალს გადაებული ხიდად!



ჭეული ცუქლაშაილი

### საძმო საფლავები

აგვისტოს ხვატია, ფერებს ზურმუხტისას,  
ძონი შეერწყა, უხეშად შეერია...  
აგვისტო, შეუმჩნევლად შემოპარული,  
გრძნობაამშლელი და ჩემი მომრევია!  
საძმო საფლავები... ფერთა თალხი გამა,  
თურმე, ლომგულები, მართლა გაგვიზრდია!  
კალთით დაგვიფარე, გვიხსენ, ღვთისმშობელო,  
სული მეხუთება... ეს რა ამინდია!  
სანთელს დავანთებ და ჩემთვის ვიმეორებ:  
ღმერთო, აგვაშორე მსგავსი აგონია...  
მშვიდად დაიძინეთ, ლომის ბოკვერებო,  
საძმო საფლავები თქვენი აკვანია!

### რა დავაშავეთ?!

გადაცურე, მთვარეო, ჩემი ფრონე – მდინარე?  
წაგეყვანე... გახლავარ, ცრემლებისა მდინარე!  
შენს იმედად აღარ ვარ, ქარს გავატან ხვაშიადს,  
ჩემ მაგიერ შესცინოს მწუხრის ჟამს და განთიადს!  
მოვიკითხავ ატმის ტოტს, რომ იფრქვევა სურნელად,  
ფრონე დაბოღმილია, იმის მერე სულ ღელავს!  
ნეტავ, რა დავაშავეთ, რად მოგვგლიჯეს სინმინდეს!..  
სანამ უნდა დავასხათ წყალი სხვების ნისქვილზე?!


**აგვისტოს სედა**
**სამაჩაბლოში**

ფუფუნა ცუნგიაშვილი-ქინიანიშვილი

**უნაპირო სევდა**

ძველ გულსაბნევედ მკიდობარ მკერდზე,  
ჩემო სევდავ და ჩემო ტკივილო, –  
აფხაზეთო და შენ, სამაჩაბლოვ,  
რამდენჯერ უნდა გამოგიტირო!  
თუ უნაპირო გამრიყავს სევდა,  
თუ აღმოხდება ამ გულს ჩივილი,  
ისევ შენა ხარ, ისევ შენა ხარ  
ჩემი დარდი და დიდი ტკივილი...  
მკერდში გულია, შემოძენილი,  
გულში ხანძარი როდემდე მენტოს?!  
გამიმთლიანე, გამიძლიერე,  
ჩემი სამშობლო, მაღალო ღმერთო!

\* \* \*

გულდარდიანად ბევრჯერ მივლია,  
მინდვრად გასული შევტიროდი ცვრიან ბალახებს...  
სამშობლოს სევდას ტანზე ვირგებ,  
ვით გიჟის პერანგს... მტკივა, მადარდებს  
ის მავთულხლართი, –  
ნაფლეთ-ნაფლეთ რომ მპარავს მამულს,  
სხეულს მიკანრავს,  
ჩემს გულზე გადის...

ლიახვისა და ფრონის ქალებში  
ჩამოყოლილი ქვიშის ჩივილი  
მოსძალებია ნატკენ სულს ისე,  
როგორც დაჭრილი ნეროს ყივილი...  
იქ, სამაჩაბლოს ძირძველ მინაზე  
დათარემობენ უცხო ქარები!..  
და ნატრულობენ ქართულ გალობას  
მამა-პაპათა სალოცავები.  
ხავსმოკიდებულ სასაფლაოზე  
ჩამოუყრია ტოტები ტირიფს,  
სანათესაოს ცრემლების ნაცვლად,  
ქართველთ სამარხებს ღრუბელი სტირის.  
ნისლს დაუპყრია კავკასიონი,  
გვიხმობს, მოგვძახის ჩვენი სოფლები,  
დასაფიცარი მინა ქართული  
ვინ მოგვინათლა, როგორც ოსეთი?  
ან ვინ არჩევდა ოსსა და ქართველს,  
იყო ძმობა და იყო ერთობა,  
ბებერი ფესვი ქართულ ყლორტს აყრის  
იქ, გაზაფხული უჩვენოდ მოვა.

**შინდისთან**

მზე იწვოდა, ქარს კი მუხლი მოეყარა  
და სიკვდილის ცელი უღვთოდ ტრიალებდა...  
სამშობლოს და მამულისთვის თავგანწირვა  
ბიჭებისთვის იყო სულის ზიარება...  
სიო ჩუმად მიეფერა დევგმირ ბიჭებს,  
მინამ სისხლი მირონივით პეშვით მოსვა...  
მზე ჩაიწვა, ქარმა მუხლი მოიყარა,  
შინდისის ცა გლოვის ფერად შეიმოსა!!!

**არ ეპატიება**

ვით ეპატიოს კაენს  
სისხლით გაპოხილი მინა!  
მიტაცებული სოხუმი,  
გაგრა, მონანავე რინა...  
ვით ეპატიოს ცხინვალი,  
ვით ეპატიოს გორი?!  
გადმონეული სამნებით,  
გზები გამხდარა შორი...  
ბიჭების დაღვრილი სისხლი,  
ფუსფუსს მონატრული კერა...  
უფალი მიაგებს ყველას  
თავის მისაგებელს, მჯერა!